საქართველოს მთავრობის

დადგენილება №343

2023 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“:

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შედეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) ამ პროგრამით გათვალისწინებულ საზღვაო თევზჭერის მიმართულებით (საქმიანობის კოდი: 03.11.0) ინდუსტრიების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყება კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) წლისა, არსებულის გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) წლისა. ამასთანავე, ზემოთ დასახელებული პირობები ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ბენეფიციარი ასევე სარგებლობს „საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №163 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამით – „საკრედიტო საგარანტიო სქემით“.“.

2. 12^{45} მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მეწარმე სუბიექტს პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების შესაძლებლობა აქვს ორჯერ. ამასთანავე, დაუშვებელია ბრენდინგის/პროდუქციის შეფუთვის კომპონენტით განმეორებით სარგებლობა. ასევე ამ პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მეორედ მიღების შესაძლებლობა აქვს იმ ბენეფიციარს, რომელსაც განმეორებითი განაცხადის წარდგენის მომენტისთვის შესრულებული აქვს პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.“.

3. 12^{49} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ განაცხადების მიღება ან/და კომისიის მიერ განაცხადის განხილვა შესაძლებელია შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მოცულობა გაუტოლდება ან/და გადააჭარბებს თითოეული საბიუჯეტო წლისთვის ამ დადგენილების 12^{48} მუხლის მე-3 პუნქტით ფორმირებული ბიუჯეტის ჯამურ მოცულობას.“.

4. 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ ქვეპუნქტი:

„ყ) სალიზინგო პროექტის რესტრუქტურიზაცია – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 5 თებერვლის №18/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის

წესის“ მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, მხოლოდ საზღვაო თევზჭერის მიმართულებით (საქმიანობის კოდი: 03.11.0) ლიზინგის კომპონენტის რესტრუქტურიზება შესაძლებელია სალიზინგო საგნის ნარჩენი ღირებულების გაზრდით, არაუმეტეს რესტრუქტურიზაციის მომენტისათვის სალიზინგო საგნის ღირებულებაზე სალიზინგო პროექტის გრაფიკით გათვალისწინებული დარიცხული და დაუფარავი არაუმეტეს 4 თვის პროცენტის შესაბამისი თანხის ოდენობით.“.“.

5. დანართ №1[1]-ში ობიექტების კოდებს: 33.20.0-სა და 49.10.0-ს შორის დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ობიექტის კოდი და დასახელება:

„D	35.11 აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სესხით/ლიზინგით სარგებლობისათვის სავალდებულოა, ობიექტი იყოს მხოლოდ ჰიდრო/ქარის/მზის არაუმეტეს 0.5 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგური, რომელიც არ არის ჩართული „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბერის №556 დადგენილებით დამტკიცებულ მხარდაჭერის სქემაში	ელექტროენერგიის წარმოება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**